საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თბილური ფულუსი

თბილური ფულუსი, ქართული ფულუსი, სეფიანთა ირანის ანონიმური საქალაქო მონეტის მსგავსი სპილენძის ფული, იჭრებოდა XVII–XVIII სს. თბილ. ზარაფხანაში, საქართვ. ცენტრ. ხელისუფლების მიერ. მონეტების მიმოქცევის არე იყო ქართლისა და გარეკახეთის ტერიტორია. როსტომ მეფის დროს ერთ თ. ფ-ზე შაჰ სეფი I-ის სახელი გაჩნდა, როგორც თანადროულ ვერცხლის მონეტებზე. როდესაც სამეფომ მეტი დამოუკიდებლობა მოიპოვა, ფულუსზე ქართ. ასოებით თავისი სახელები მოათავსეს ქართლის მმართველებმა – ვახტანგმა, სიმონმა, ბაქარმა. თ. ფ-ის ერთ მხარეზე რეალური ან ფანტასტიკური ცხოველი (ლომი, ირემი, ხარი, ცხენი, დრაკონი, ფარშავანგი, მარტორქა), მზე ან გემი იყო გამოსახული; მეორე მხარეზე – სპარს. წარწერა: „ფულუსი იჭედა თბილისს", წელი ჰიჯრით.

XVIII ს. შუა ხანებიდან თ. ფ-ზე თავიანთ სახელს ათავსებენ დამოუკიდებელი ქართლ-კახეთის მეფეები: თეიმურაზ II, თეიმურაზ II და ერეკლე II ერთად, ერეკლე II, გიორგი XII, ბატონიშვილი დავით გიორგის ძე; მეორე მხარეზე, გარდა ცხოველებისა, ჩნდება შემდეგი გამოსახულებები: ბაგრატიონთა გერბი, ორთავიანი ან ერთთავიანი არწივი. თ. ფ-ზე ზოგჯერ წელი ქრისტ. წელთაღრიცხვით არის მითითებული. 1640-იდან 1801-მდე ფულუსის სამი ნომინალი იჭრებოდა – ბისთი, ნახევარი ბისთი და ბისთის მეოთხედი ფული.

ლიტ.: კ ა პ ა ნ ა ძ ე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969; К у т е л и я Т. С., Грузия и сефевидский Иран, Тб., 1979; П а х о м о в Е. А., Вес и достоинство медной монеты Тифлиса XVII–XVIII вв. Отдельный оттиск, Баку, 1928.

თ. ქუთელია